აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 **საჯარო** სკოლა

2017 weli
Tbilisi

2016-2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- **2016-2017 saswavlo wlis kursdamTavrebulTa Sedegebi erTian erovnul gamocdebze**



2016-2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- **2016-2017** სასწავლო წელს **42**-ე საჯარო სკოლის
- **21**-მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა
- აქედან **11**-მა ოქროს, ხოლო **10**-მა ვერცხლის მედალი დაიმსახურა;

2016-2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2016-2017 წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე საქართველოს მასშტაბით დავით თათოშვილმა და თამარ ბედიაშვილმა მათემატიკაში დაიმსახურეს მაქსიმალური შეფასება 59ქ.

- 2016-2017 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დავით თათოშვილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე საგრანტო ქულებით მეორე ადგილზეა.

- 2016-2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით მათემატიკის ჩამბარებელ აბიტურიენტთა შორის სოფია ფირცხალავამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე პირველი ადგილი დაიკავა.

- 2016-2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებზე საგრანტო ქულებით ანა მირიანაშვილი თავისუფალ უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე მეორე ადგილზეა

- 2016-2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით მათემატიკის ჩამბარებელ აბიტურიენტთა შორის ირაკლი გეტაშვილმა თბილისის ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტზე პირველი ადგილი დაიკავა.

2016-2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

მოსწავლეთა წარმატებები

წარჩინებული მოსწავლეები ლეპტოპებით დასაჩუქრდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ქალაქ თბილისის მერმა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ თბილისის საჯარო სკოლების 356 მეათეკლასელს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცეს. ჩვენი სკოლიდან პერსონალური კომპიუტერი შემდეგ ექვს მოსწავლეს გადაეცა:

გიორგი ადიკაშვილი, ნიკა სალია, კესო კაკაჩია, მიხეილ ბაჯელიძე, ნიკოლოზ ჭელიძე, დავით გიგაური, ნიკა გურასპიშვილი, ნიკოლოზ სოხაძე, გიორგი ვარაზაშვილი, გვანცა ერქვანია. ამ მოსწავლეებმა საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) წარმატებით დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანი გახლავთ 10 ქულა დამრგვალების გარეშე.

გამოსაშვები გამოცდების საუკეთესო შედეგები!

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლის XI-XII კლასების მოსწავლეებმა (cat)-ის გამოცდებზე მაღალი შედეგები აჩვენეს. ორმა საუკეთესო მოსწავლემ **თინათინ ხაჩირაშ**ვილმა და **ანი ციმაკურიძემ** ოთხივე საგანში მიიღეს უმაღლესი შეფასება 10 ქულა.

მოსწავლეების საერთაშორისო წარმატება

2017 წლის 13-17 იანვარს ყაზახეთის ქალაქ ალმატიში ჩატარდა ჟაუტიკოვის სახელობის XIII საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში. ოლიმპიადაში 20-მდე ქვეყნის მოსწავლე მონაწილეობდა, მათ შორის ტრადიციულად ჩვენი სკოლის მოსწავლეებიც . 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები წარმატებით გამოვიდნენ ამ მეტად პრესტიჟულ ოლიმპიადაზე. XII კლასის მოსწავლე დავით თათოშვილმა მათემატიკაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო XI კლასის მოსწავლებმა ზურაბ ჯაშმა და ირაკლი შალიბაშვილმა ფიზიკასა და მათემატიკაში ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ასევე კომპიუტერულ მეცნიერებებში XI კლასის მოსწავლემ ალექსანდრე ხარაბაძემ.

ჩვენი სკოლის ორი მოსწავლე ლევან ჭიკაიძე და ანასტასია იოსებაძე FIRST Global-ის საინაუგურაციო საერთაშორისო შეჯიბრში ვაშინგტონში

2017 წლის ივლისში დასრულდა FIRST Global-ის საინაუგურაციო საერთაშორისო შეჯიბრი, რომელიც აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში გაიმართა. ოლიმპიური სისტემით ორგანიზებულ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მიიღო 157 ქვეყნისა და 6 კონტინენტის ახალგაზრდულმა გუნდმა. მათ შორის იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები, რომელშიც აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა მათემატიკის ქალაქ თბილისი # 42 საჯარო სკოლის ორი მოსწავლე ლევან ჭიკაიძე და ანასტასია იოსებაძე მონაწილეობდნენ. საქართველოს გუნდმა ამ მეტად დაძაბულ და კონკურენტულ ბრძოლაში მე-14 ადგილი დაიკავა. საქართველოს გუნდის მიერ შექმნილი რობოტის უნიკალური და გამორჩეული დიზაინი არ დარჩენილა შეუმჩნეველი როგორც ორგანიზატორების, ასევე ამერიკული მედიისა და საპატიო სტუმრების მხრიდან, რომელთაგან აღსანიშნავია აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი და ქალიშვილი ივანკა ტრამპი და ცნობილი ამერიკელი გამომგონებელი დინ კამენი. მადლობა ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, როგორც აშშ-ში, ასევე საქართველოში, გუნდის მენტორს - ამერიკული აკადემიის პედაგოგს ბატონ ილია მესტვირიშვილს, გუნდის მხარდამჭერებს და გულშემატკივრებს.

უპრეცედენტო გამარჯვება მათემატიკის IMO 2017 საერთაშორისო ოლიმპიადაზე

ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და სამი ბრინჯაოს მედალი - ასეთი შედეგით დაბრუნდა მოსწავლეთა ექვსკაციანი გუნდი მათემატიკის 58-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადიდან (IMO 2017), რომელიც ბრაზილიაში, კერძოდ, რიო დეჟანეიროში გაიმართა. ასეთი შედეგი უპრეცედენტოა ჩვენი ქვეყნის განათლების ისტორიაში. მედალოსნები: ოქროს მედალოსანი - ალექსანდრე საათაშვილი (კომაროვი, მე-12 კლასი); ვერცხლის მედალოსნები - საბა ლეფსვერიძე, ნიკოლოზ ბირკაძე (კომაროვი, მე-11 და მე-9 კლასი);

ბრინჯაოს მედალოსნები - ირაკლი შალიბაშვილი, დავით თათოშვილი (ვეკუას სახელობის №42 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი), დავით ხვედელიძე (კომაროვი, მე-10 კლასი).

ჩვენი სკოლის მოსწავლე ზურაბ ჯაში ფიზიკის 48-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადის (IMO 2017)-ის ბრინჯაოს მედალოსანია

ფიზიკის 48-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადა (IMO 2017), ინდონეზიის კერძოდ, ქალაქ ჯოკიაკარტაში გაიმართა. ოლიმპიადაში მსოფლიოს 88 ქვეყნიდან წარდგენილი გუნდები მონაწილეობდნენ. საქართველოს).

ნაკრებმა სამი ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო, ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ - გიორგი გრიგოლია, გელა პატაშური (კომაროვი, მე-12 კლასი) და ზურაბ ჯაში (ვეკუას სახელობის №42 საჯარო სკოლა, მე-11 კლასი

საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულ ჩვენი სკოლის მოსწავლეებს: დავით თათოშვილს, ირაკლი შალიბაშვილს და ზურაბ ჯაშს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გამარჯვება მიულოცა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ვიცე-პრემიერთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ალექსანდრე ჯეჯელავასთან ერთად, საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეებს, მათ მშობლებს, მწვრთნელებს, პედაგოგებს შეხვდა და მიღწეული შედეგი მიულოცა.

აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქ. თბილისის №42 საჯარო სკოლა ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლასთან პარტნიორობით ორგანიზებას უწევდა საზაფხულო სკოლას ასტრონომიასა და ასტროფიზიკაში.

მიმდინარე წლის 29 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქ. თბილისის №42 საჯარო სკოლა ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლასთან პარტნიორობით ორგანიზებას უწევდა საზაფხულო სკოლას ასტრონომიასა და ასტროფიზიკაში.
საზაფხულო სკოლა დაფინანსებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ

საზაფხულო სკოლის მსმენელები იყვნენ ზემოთ მითითებული სკოლების X – XII კლასების 40 მოსწავლე.
საზაფხულო სკოლის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები
რომლებსაც წარმართავენ საქართველოს ცნობილი ფიზიკოსები და ასტროფიზიკოსები -პროფესორები ალექსანდრე თევზაძე, შალვა საბაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი.
მეცადინეობებს ქონდა, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული სახე.
მეოთხე დღეს საზაფხულო სკოლის ფარგლებში განხორციელდა შემეცნებითი ექსკურსია აბასთუმნის ობსერვატორიაში. სადაც მოსწავლეებს საშუალება ქონდათ დაკვირვებოდნენ ცას, შეესწავლათ ციური სხეულების მდებარეობები.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები პოლონეთის Copernicus მეცნიერების ცენტრში იმყოფებოდნენ

ჩვენი სკოლის ორი მოსწავლე ზურაბ ჯაში და თამარ პეპანაშვილი პოლონეთის Copernicus მეცნიერების ცენტრში იმყოფებოდნენ. ისინი ბაქსვუდის საზაფხულო ბანაკიდან შეირჩნენ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პრიზად გადასცათ შემეცნებითი მოგზაურობა პოლონეთში .აღსანიშნავია, რომ კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი ერთერთი ყველაზე დიდ ცენტრია ევროპაში, რომელიც ყოველდღიურად 3000-ზე მეტ დამთვალიერებელს იღებს.

სამოქალაქო განათლების მეორე ტურის გამარჯვებულები

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტურის გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა. ორგანიზაცია „მოქალაქემ“ საქართველოს მასშტაბით მესამე ტურში გადასული 202 მოსწავლე დააჯილდოვა. მათ შორის არიან აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლის 10 მოსწავლე:

- სოხაძე ნიკოლოზ- 10 კლასი
- ოშხერელი ნიტა -11 კლასი
- აბრამიშვილი თენგიზ-11 კლასი
- თოფურია თამთა-11 კლასი
- კვინიკაძე ანასტასია- 11 კლასი
- მინდაძე ბიძინა-11 კლასი
- პაპიაშვილი სალომე-12 კლასი
- ჩხაიძე ანამარია-12 კლასი
- ჭანტურია ნინო -12 კლასი
- ბერიძე ლუკა-12 კლასი ათივე

მოსწავლე დასაჩუქრდა წიგნების მაღაზია „ ბიბლუსის“ 100 ლარიანი ვაუჩერებით და პლანშეტებით (kindle).

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის გამარჯვებული თამთა თოფურია

აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 აჯარო სკოლის მოსწავლემ **თამთა თოფურიამ** გაიმარჯვა სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში და მოიპოვა სამკვირიანი ტური **Oxford-ში, დიდი ბრიტანეთის საზაფხულო სკოლაში**. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა .2016 წლის დეკემბრიდან დაიწყო ეროვნული მასშტაბით, რომლის პირველ ეტაპზე 28000-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ჩვენი სკოლის მოსწავლეებმაც, რომლებმაც წარმატებით გადალახეს პირველი ეტაპი და მოხვდნენ საუკეთესო 2000 მოსწავლეს შორის. მოსწავლეები დაჯილდოვდნენ წიგნების მაღაზია „ბიბლუსის“ ვაუჩერებითა და სხვადასხვა წამახალისებელი პრიზებით. ოლიმპიადის მეორე ტურში შესრულებული ნამუშევრებისთვის კი ჩვენი სკოლის მოსწავლეთა უპრეცენდენტო რაოდენობამ მოიპოვა საზაფხულო „ეკო-ბანაკის“ საგზური, წიგნების ვაუჩერი, „Kindle“ და მოხვდა საუკეთესო 200-ეულში, რომლებიც გამარჯვებისთვის იბრძოლებდნენ. 2017 წლის მაისში, მესამე ტურის პირველ ეტაპზე მონაწილეებმა დაწერეს ესეები. სწორედ მათ მიხედვით შეირჩა 40 მოსწავლე, №42 სკოლის ორი მოსწავლის ანამარია ჩხაიძისა და თამთა თოფურიას მონაწილეობით. 19 მაისს, ოლიმპიადის საბოლოო ეტაპზე მოსწავლეებმა წარადგინეს საკუთარი ესეები პრეზენტაციის სახით და გამოვლინდა 20 გამარჯვებული.

№42 საჯარო სკოლის გუნდი მახვილგონიერთა და მხიარულთა ასპარეზობის ფინალის გამარჯვებულია

აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის გუნდი მახვილგონიერთა და მხიარულთა ასპარეზობის ფინალის გამარჯვებული გახდა. 2017 წლის 25 მაისს მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკვეებიან დარბაზში შემეცნებით თამაშობათა სტუდიის (ხელმძღვანელი ციალა საღარაძე) ორგანიზებით გაიმართა მახვილგონიერთა და მხიარულთა ასპარეზობის ფინალი ქ. თბილისის №42 და №71 სკოლის გუნდებს შორის. №42 საჯარო სკოლის გუნდმა თბილისის სკოლის გუნდებს შორის გაიმარჯვა და ფინალში მოხვდა. ფინალში გუნდები ერთმანეთს ერუდიციასა და საზრიანობაში, სისწრაფეში, შემოქმედებით შესაძლებლობებში შეეჯიბრნენ, უპასუხეს კითხვებს სხვადასხვა სფეროდან, გაიმართა ბლიც

აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის გუნდი „მთაწმინდა-42“ გეოვიქტორინა -2017-ის გამარჯვებულია

2017 წლის 4 ივნისს, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკებიან დარბაზში - ეროვნული სასახლისა და ალ.ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების ორგანიზებით ჩატარდა გეოგრაფიული ვიქტორინა, რომელშიც I ადგილზე გავიდა აკ. ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის № 42 საჯარო სკოლის გუნდი „მთაწმინდა-42“ (პედაგოგი: ნ. მთიულიშვილი). კონკურსში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის, თბილისის საჯარო და კერძო სკოლების 25 გუნდი (VIII-XII კლასების მოსწავლეები

გეოვიქტორინა მიეძღვნა ეროვნული სასახლის აღზრდილის, ცნობილი გეოგრაფის, პროფესორ ნიკოლოზ ბერუჩაშვილის ხსოვნას. კონკურსის მიზანია მოსწავლეებში გეოგრაფიული მეცნიერების

პოპულარიზაცია და ზოგადი განათლების დონის ამაღლება.

პროექტის „ევროპული ხედვა ჩვენს ობიექტივში“ შემაჯამებელი ღონისძიება

თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის პროექტმა „ ევროპული ხედვა ჩვენს ობიექტივში“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები. მოსწავლეებს ჩაუტარდათ ტრენინგი ევროპული ღირებულებების შესახებ, ასევე გაიარეს ვიდეოადვოკატირების ტრენინგი. პროექტის ფარგლებში შეიქმნა მოსწავლეთა სამი ჯგუფი, რომლებმაც ტრენინგებზე მიღებული ცოდნის საფუძველზე შექმნეს ვიდეოები თემაზე საქართველო და ევროპა. ვიდეოები აიტვირთა სოციალურ ქსელში და დიდი მოწონება დაიმსახურა. პროექტის დასასრულს ჩატარდა შემაჯამებელი ღონისძიება , ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატები და წიგნების მაღაზია „ ბიბლუსის“ ვაუჩერები.

პროექტის „ფორუმ- თეატრი სოციალური თანასწორობისთვის“ შემაჯამებელი ღონისძიება ახალი მზიურის ამფითეატრში.

თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის პროექტმა „ფორუმ- თეატრი სოციალური თანასწორობისთვის“. პროექტის მთავარი მიზანი გახლდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოველდღიური ცხოვრების პრობლემათა წარმოჩენა მაყურებლისთვის და დისკუსიის სახით ამ პრობლემების გადაჭრის გზაზე მსჯელობა.

ევროპის დღე -2017

2017 წლის 7 მაისს რიყის პარკში ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებმა წარმოადგინეს თავიანთი ქვეყნები. გაიმართა წარმოდგენები და გასართობი ღონისძიებები ბავშვებისთვის. ევროპის დღის ორგანიზებაში მოხალისეებად მონაწილეობა მიიღეს ჩვენი სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეებმა, სახალისო სამეცნიერეო ექსპერიმენტები,

რომლის ნახვა და მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა იქ მოსულ სტუმარს. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის წევრები, ასევე უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

ჩვენი სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები ეკა ფანცულაია და ანასტასია კვინიკაძე მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის “ Flex”-ის გამარჯვებულები გახდნენ

ჩვენი სკოლის ორი მოსწავლე ეკა ფანცულაია და ანასტასია კვინიკაძე "Flex”-ის პროგრამის გამარჯვებულები გახდნენ და ისინი ერთი სასწავლო წლის განმავლობაში გაემგზავრნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა "FLEX" მოსწავლებს სთავაზობს შესაძლებლობას გაეცნონ ამერიკის კულტურას და ხალხს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის მეშვეობით,ისწავლონ ამერიკულ სკოლაში და იცხოვრონ ამერიკელ მასპინძელ ოჯახში ერთი აკადემიური წლის მანძილზე. “ Flex”-ის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით 6000-მა მოსწავლემ IX-XI კლასების ჩათვლით. სამი ეტაპის გავლის შემდეგ გამოვლინდა 80 ქართველი გამარჯვებული . პროექტი დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფის მიერ.

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული გიორგი მჭედლიშვილის დიდი წარმატება "NASA" -ში

კოლუმბიის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის 22 წლის სტუდენტმა - გიორგი მჭედლიშვილმა, თანამოაზრე პედაგოგებთან და სტუდენტებთან ერთად შეიმუშავა სრულიად ახალი ძრავებისა და ფიუზელაჟის მომავლის თვითმფრინავის მოდელი, რომელმაც ნასას მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და 2017 წლის 26 სექტემბერს მიწვეულნი არიან NASA -ს სათაო ცენტრში პროექტის ოფიციალურ პრეზენტაციაზე. "გრიფონის" იდეის ავტორები არიან გიორგი მჭედლიშვილი და მისი თანაკურსელი - ილონ გორდონი. გიორგი მჭედლიშვილი აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია. ვულოცავთ მას ამ წარმატებას ვუსურვებთ კიდევ მრავალ გამარჯვებას..

მოსწავლეების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით 42 საჯარო სკოლა ყოველწლიურად უცხოეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლების მასპინძლობს ბულგარეთში AUBG ამერიკულ უნივერსიტეტის პროფესორები სკოლაში

2016 წლის 17 ოქტომბერს საერთაშორისო განათლების ცენტრის ორგანიზებით სკოლას ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესტუმრნენ. სტუმრებმა აბიტურიენტებს გააცნეს უნივერსიტეტის საბაკალვრო პროგრამები, ესაუბრნენ სწავლის დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობებზე.

მოსწავლეების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით 42 საჯარო სკოლა ყოველწლიურად უცხოეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლების მასპინძლობს

სკოლამ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უმასპინძლა

სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი საქართველოში კენ უოლში, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ჯენერ ედელმანი და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის უმაღლესი და პროფესიული განათლების პროექტის დირექტორი ნოდარ სურგულაძე.

სტუმრები ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესებულ მე-12 კლასელებს შეხვდნენ. მათ მოსწავლეებს SDSU-საქართველოს პროგრამის შესახებ ვრცელი პრეზენტაცია წარუდგინეს.

ცნობილი სატელევიზიო გადაცემის „ სიტყვების თამაში“ წამყვანი და პროდიუსერები მოსწავლეებს შეხვდნენ

2017 წლის 27 მარტს სკოლაში სტუმრად იმყოფებოდა ცნობილი პოეტი რატი ამაღლობელი რომელიც, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე უძღვება გადაცემას: „სიტყვების თამაში“. სკოლას ასევე სტუმრობდნენ ამ სახალასო პროექტის პროდიუსერები ლელა ჯაფარიძე და თამარ ციციშვილი. ისინი მეშვიდე-მერვე კლასის მოსწავლეებს შეხვდნენ. ბავშვები ხალისით ჩაერთვნენ ინტელექტუალურ-გასართობ თამაშში, ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა სისხარტითა და აზარტულობით და სტუმრების მოწონებაც დაიმსახურეს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია სკოლაში

2017 წლის მარტში 100 წელი შესრულდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან. ჩვენი სკოლის პედეგოგებმა მანანა გაბუნიამ და ნუგზარ მოლაშვილმა მოამზადეს მოსწავლეები ამ დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციისათვის, რომელიც ჩატარდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 23 მარტს. 24 მარტს კონფერენციამ გადმოინაცვლა სკოლაში. მოსწავლეებმა ნუცა ხუსკივაძემ, მიხეილ საამაშვილმა, მარიამ მახარაძემ და ანა ქისიშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს საინტერესო ისტორიები ამ თემასთან დაკავშირებით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გადაეცათ უნივერსიტეტის სერტიფიკატები.

IX -1 კლასის მოსწავლეები საქველმოქმედო ღონისძიებაში ჩაერთვნენ

სიკეთე გადამდებია - ამ მოწოდებით გაერთიანებული მეცხრეკლასელები მრავალშვილიან ოჯახს დაეხმარნენ. გაჭირვებული ოჯახის მოძიებაში მათ საქველმოქმედო ფონდი“ სიცოცხლე „ დაეხმარა. მოსწავლეებმა ჩვენი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლის , მაია შონიას ორგანიზებით შეიძინეს სურსათი, ტკბილეული, ოჯახისათვის საჭირო პირველადი მოხმარების ნივთები და ესტუმრნენ მრავალშვილიან ოჯახს. მოსწავლეებმა სურვილი გამოთქვეს, სხვა კლასებიც შემოუერთდნენ ამ კეთილ საქმეს , რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ საქველმოქმედო ღონოსძიებებში.

სტანდარტზედა მომსახურების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

სკოლაში სასწავლო კურსის „გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობა“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

2017 წლის 3 ივნისს სკოლაში სასწავლო კურსის „გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობა“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

მოსწავლეებმა გამოფენაზე ევროპული სახელმწიფოების კულტურა, ტრადიციები და ღირებულებები წარმოადგინეს. უფროსკლასელებმა მოწვეულ სტუმრებს იმ გზის შესახებაც უამბეს, რომელიც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გაიარეს.

საუკეთესო სტენდების ავტორებს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფარმაციო ცენტრის მიერ დაწესებული სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ.
აღნიშნული კონკურსი უკვე მეორედ განხორციელდა. „გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობის" მონაწილეებს სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სხვადასხვა საინტერესო ღონისძიების განახორციელების საშუალებაც მიეცათ. პროექტი მიზნად ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციას ისახავდა.